

კვირა, 18 სექტემბერი 1916 წ.

რედაქციის ადრანი:
თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.


— ფასი 15 კაპ. —

მშვენიერი

იუმორისტ.
ჟურნალი

მართახნი

№ 38



თფილისის ტრამვაი

ავსტოკეფალია და ქართული სამღვდლოება

(„სახალხო ფურცლის“ მეთაური 28 აგვისტოს 1960 წლის
წიგნისთვის მომზადებული, რომელიც ცენზურმა არ გა-
უშვა).

ავტონომია ყველას მიაფიწყდა, დღიურ წეს-
რიგში ავტოკეფალია იდგა. როგორ მოვიბოვოთ,
როგორ განვახორციელოთ იგი, რა გველობება წინ,
რა გვიწყობს ხელს—აი კითხვები, რომლებიც სა-
თანადოთ უნდა ყოფილიყო არა მარტო გაშუქებუ-
ლი, არამედ გადაწყვეტილიც. იპრიანა ღმერთმა და
ამინდი საუცხოვო დაგვიდგა: ამოვარდა ძლიერი
ზურგის ქარი და სწორეთ იქით მიგვაქანებდა, სა-
დაც ჩვენი გზა და მიზანი იყო. ახლა ანდაზა: „ქარ-
თველი წყალს მიჰქონდა, გზაც იქით ჰქონდაო“
კითხვები გზა და გზა ირკვეოდა. ჩვენს მტერს და
ორგულს კისერზე ხახვი დავაქერით. განიფანტა ყო-
ველივე ბურუსი და შორს ჰორიზონტზე მკაფიოთ
გამოიხატა შარავანდელით მოსილი დამოუკიდებელი
ქართული ეკლესია.

რალა გვინდა? „ვიბოვნეთ, რასაც ვეძებდით“

სწორეთ აქ კი დაგვიდგა გასაქირი. ეს კი ვი-
ბოვნეთ, მარა ვისთვისაც მას ვეძებდით, ის კი დავ-
კარგეთ. აღვირი ვიბოვნეთ, ცხენი კი გაგვექცა,
დანა ვიბოვნეთ და სადანე ცხვარი კი გორას მოე-
ფარა. როგორ მოვიქცეთ? ახლა ცხენი და ცხვარი
ვეძებთ? კიდევ რომ ვიბოვნოთ, როგორ მოგვე-
კარებინ აღვირზე და დანაზე! ვაგლახ ჩვენს თავს!
ეს კიდევ რაა. ვისაც აღვირი და დანა ხელში უნდა
სქეროდა, ისიც გადავიდა ჩვენი გზიდან. ეოლენის
ჩამოველო და ეკითხა: დავიჯერო, ავტოკეფალია
არ გენატრებათო? ეპასუხნათ: ქანქარი და წარჩი-
ნება იყოს, თვარა უმისოთაც ვაგძლებთო.


ახლა რა ვქნათ? აღარც ცხვარი, აღარც მისი
მწყემსი კეთილი, აღარც ცხენი, აღარც მისი გამო-
ცდილი მხედარი. რა ვუყოთ მარტო დანას და აღ-
ვირს?

ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა. ახლა
თვით ვრმა უნდა სთქვას თავისი სიტყვა.

ნუთუ ჩვენი სამღვდლოება ვერ შეიგნებს, რომ
ავტოკეფალია სრულიათ უზრუნველ ყოფს მას ნიე-
თიერთ, რომ ქართული ეკლესიის აყვავება მისი
ჯიბის აყვავებაც იქნება, რომ ნახევარ მილიონზე
მეტი დესეტინა მიწა, რომელიც მას ავტოკეფალი-
ასთან დაუბრუნდება, გამოკვებავს მასაც და მის
შვილი-შვილებსაც? ნუთუ ჩვენი ერი ეგოდენ უგუ-
ლებელს ყოფს ეროვნულ ინტერესებს, რომ თვით
არ მივა დანასთან და არ დაეცემა ზედ ყელით?
ნუთუ ისე მოუშვიფებელი იქნება იგი, რომ ზურგს
შეაქცევს ერთსაც და მეორესაც?

ნუ იქმნებიან!

ფოცხვერი.



პატარა ფელეტონი

„ზაჰარიას მითოლი“

ქვეყანაზე ბევრგვარი აზროვნების მქონე ხალ-
ხია: ზოგს ასე უყვარს მსჯელობა, ზოგს ისე; ზო-
გი კაცი კოზმა პრუტკოვიით ყოველ გვარ კით-
ხვას ფესვებთან არჩევს ხოლმე, ზოგიც ზეზე და-
ფარფატობს და მარტო წვეროებს ევლებს; ზოგი
კიდევ ყოველ გვარ კითხვას ართულებს, ათასის
მხრით უფლის და ზოგიც ყველაფერს ამარტივებს,
აუბრალოებს.

თქვენი არ ვიცი და მე კი, ამ ბოლო დროს,
მეორე ტიპის მოაზროვნეთა რიცხვში ამოვყაფი
თავი. ძველათ კი პირველი მიმდევარი გახლდით
კოზმა პრუტკოვისა, იმ ზღაპრულ კოზმასი, რომ-
მელმაც გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში
რუსეთში სამი პოეტი ჩაყლაპა და ამის შემდეგ გ-
მოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე.

პირველათ კოზმას მეთოდის უვარგისობაში ექვი შემატანინა ერთმა განსწავლულმა და ქვიანმა ინსპექტორმა, რომელიც ხშირათ იტყოდა ხოლმე: არ ვიცი ღმერთმანი რას ქვიან ფილოსოფია და ფილოსოფიური მსჯელობა, კითხვის პრინციპიალურ-ფილოსოფიურათ გაშუქება; ეს იმას გავს, რომ კაცმა სრულიად ნათელი კითხვა ერთიანად დააბნელო, ფილოსოფია—კითხვის დაძვლებათ სხვა არაფერიო.

ამ სიტყვებით ექვებ აღძრულისთვის სრულიად საკმაო შეიქნა ზაქარია ქვიანის მეთოდის გაცნობა, რომ ერთის დაკვირვით გადავსულიყავ კოზმას მოპირდაპირეთა რიცხვში. ზაქარიას ისტორიულმა გამოკვლევებმა პირდაპირ რევოლუცია მოახდინა ჩემს აზროვნებაში. საქმე იმაში გახლავი, რომ ისტორიულ მეცნიერებსაც ყავს საუბედუროთ თავსი კოზმა პრუტკოვები. უბრალო რამის ისტორია რო დასწერონ, ამისთვის შესძრავენ ცასა და ქვეყანას: აი არქეოლოგიაო, აი პომპეის ნანგრევებიო, აგერ კიდევ არაბთა მწერლების მოწმობათ, ეს საუკუნე, ისაო, ლურსმური წარწერებიო, თუ ჩაქუჩისებურიო... ერთის სიტყვით მანამ არ მოგეშვებიან, სანამ კითხვას ერთიანად არ დააბნელებენ და არ შეგაძლებენ. მაგრამ ასე როდი იქცივიან ზაქარია ქვიანძე და საზოგადოთ სხვა გვარი მკვლევრები: ყოველგვარ რთულ კითხვას ერთ წუთში გაგიშუქებენ და ყველაფერს ნათლათ გაჩვენებენ.

სხვებს ჯვარი სწერია, მაგრამ ზაქარიას მეთოდს დაწვრილებით უნდა გავაცნოთ. ის ხანში შესული კაცია, მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში არ მომხდარა არც ერთი შესანიშნავი ამბავი ჩვენში, რომელსაც ზაქარია პირადათ არ დასწრებოდა; სოლომონ დოდაშვილის დროს ცნობილ შეთქმულობაში იღებდა მონაწილეობას; ერეკლეს სტამბაში ასოთამწყობათ იყო; პირველი ქართული გაზეთის კორექტურა მისი გასწორებულია; ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდის ვაიფავლახით მიიყვანა როინიშვილის ფოტოგრაფიაში და იქ დაასურათა; ბევრჯელ უქეიფნია ალექსანდრე ქავჭავაძესთან; კარგათ იცნობდა არსენა ოძელაშვილს; კაკო ბლაქიაშვილს კი ანტონ ფურცელაძის შემწეობით შილდერის ყაჩაღები წააკითხა; კრწანისის ბრძოლაში პატარა კახს ისრებს აწვდიდა, ერეკლეს ცნობილ ტრაქტატის წერის დროს სამზარეულოში ტიროდა. გიორგი სააკაძეს ორჯელ გაყვა საზღ-

ვარ გარეთ ცხენზე უკან შემომჯდარი; აღამამთხანის დროს სარდაფში დაიშალა. პირველი ქართული წარმოდგენის გამართვისას ის სუფლორის ბუტკაში იჯდა; დავით გურამიშვილის და ბესიკის ნიქი პირველათ მან შეამჩნია და ორთავეს სიცოცხლეშივე გამოუცა ნაწერები. ეს შედარებით ძველები, ახლებზე ლაპარაკი ზედმეტია, საკითხავი ისავეის არ იცნობს ზაქარია! ერთის სიტყვით მომსწრე კაცია, ბევრი რამ გადახედია და რა გასაკვირი იქნება, რომ ასეთმა კაცმა ისტორიულ კვლევაძიების დროს არც ლურსმული წარწერები შეაწუხოს და არც ბიზანტიის მწერლები და საბუთები. გეტყვის ასე იყო, მე ეს ჩიმიხს თვალით ვნახე, ან ვაღმომცეს მეზობლებშიო და მორჩა, სხვა რაასაქიროა. ზაქარიას ხნოვანების კაცს, თქვე დალოცვილებო, სიზმარს უჯერიან, არა თუ ცხადს!

ჰო და, ასეთ მდგომარეობაში როგორ არ გავმხდარიყავი ზაქარიას მეთოდის მიმდევარი? ვინც გამიმტყუენებს, მტყუანი თვითონ იქნება! ვიტყვი მეტსაც: ვინც ზაქარიას მეთოდს არ გაიზიარებს, ის პირდაპირ... ნუ,.. რა ვსთქვა არ ვიცი!.. ერთის სიტყვით არაა კაი კაცი. ნახეთ გაზეთ „საქართველოს“ № 181, ამა წლის 14 მარამობისთვისა და მერე დამიწყეთ დავა, თუ ვინმე კი ხართ ამის გუნებაზე. „სომხები არიან?“ ამ სათაურით აქ ნახავთ ზაქარია ქვიანის წერილს, რომელიც საუცხოვო ნუმშია მისი ისტორიული მეთოდის გამოაშკარებისა. აქ ჩვენმა მცხოვანმა მოღვაწემ არც აცივა, არც აცხელა, და პირდაპირ დასვა სომხების გულმოსაკვლელი კითხვა, რომელიც კლასიკურის სისწრაფით გადაქრა: სომხების ცნობილი კაპიტალისტი მანთაშოვი სომეხი კი არა, ქართველი ყოფილა, გვარათ მანთეშაშვილი; თბილელი ბანიკრი ფრიდნოვი, გელოვანი ყოფილა, მეთვრამეტე საუკუნეში ბაყლათ იყოვო, მის ნათელაში ზაქარიას სადღეგძელოებიც მიურთმევეა, დავლური კი არ დაუვლია, თუმც 25 წლის ყოფილა; საფაროვები — საფარაშვილები ყოფილან, მალაიანცები — მალადაშვილები, მირზოიანები — მირზოშვილები და სხვა და სხვა. ზაქარიას მეთვრამეტე საუკუნეში თითონ უნახავს, თუ როგორ დაუკავშირდა ეს ხალხი გრიგორიანებს, ანუ სომხებს და დღეს ქართველობის არა სწამთ რა. აქ ყველაფერი ისე ნათლათაა ნათქვამი და გარკვეული, რომ ყველა ქუთათა მყოფელმა უნდა დაიჯეროს!

II

როგორც საქარის ერთგულ მოწაფეს, ჩვენ აქ გვსურს მისი ისტორიული კვლევა ძიება გავაფართოვოთ და გავადრმაოთ. გარდა ქეშმარიტების სიყვარულისა, ამას ჩვენ მოქალაქის მოვალეობაც გვავალეებს. ვინ არ იცის, რომ სომხებმა მთელი ფრონტის სიგრძეზე ქართველებზე იერიში მოიტანეს და შემუსვრას გვექადებიან. ჩვენი თავდაცვითი ტაქტიკა დღეს მიზანს ვერ აღწევს და ამიტომ თავდასხმაზე უნდა გადავიდეთ, შინ უნდა მივექრათ მტერსა და დეზორგანიზაცია ვუყუოთ. ამის თვალსაჩინო მაგალითს საქარია იძლევა: ბევრ გამოჩენილ სომხებს ქართველობას უმტკიცებს და იმედია ჩვენსკენ გადმოიყვანს, რაც სომხთა რაზმს საგრძნობლათ შეამცირებს. ახლა ამ გზაზე მეც მინდა გავიარო და რაც საქარის დაავიწყდა, ის მე შევაგსო.

ალ. ივ. ხატისოვს თუმც სომხათ მოაქვს თავი, მაგრამ ნამდვილათ ქართველია. ბაბუა მისი გვართ ხატისაშვილი იყო, ხოლო ეს გვარი მან ცოტათი გადაასწორა, თორემ ნამდვილათ ხოსიტაშვილი გახლდათ ქიზიყიდან; ვირით მაწონი ჩამოქონდა თელავში და სწორეთ აქ მიიღო მეთვრამეტე საუკუნეში გრიგორიანობა. საბუთები? მოკითხეთ საქარია ქიქინაძეს.

ლიანოზოვი — ცნობილი ბაქოელი კაპიტალისტი, უწინ ლიანოზაშვილი იყო, ბაბუა მისი წურბელით ვაჭრობდა, ბებია მკითხაობდა, საქარისთვის ბევრჯელ გაუშალია კარტი. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს ვილაცამ შეაღდინა და ლიანოზიანცი უწოდა თავს. დამტკიცება? საქარის საქმეა.

ხაჩატუროვი სრულებით არ გახლავთ სომეხი, წმინდა წყლის ქართველია, გვართ ხაჩატურაშვილი. ეს გვარიც ცოტა შეცვლილია, თორემ უნდა იყოს ხარშატურაშვილი. თუ ამ სიტყვას ფილოლოგიურათ გააჩქევთ, გამოვა, რომ წარმომდგარია ორი სიტყვისაგან: „ხარშა“ და „ტურა“. ხაჩატუროვის პეპერას ტურა კურდღლათ მოჩვენებია და ამ საბუთით კიდევ მოუხარშავს, რისთვისაც სახუმროთ ასეთი ზედმეტი სახელი უწოდებიათ. ეს ცოტა არ იყოს ვულგარული

ფაქტია, მაგრამ სიმართლე კი ასეა. თუ არ გჯერათ იხილეთ საქარის ბროშიურა ამ საკითხზე.

არბუტინსკი ტყვილა სომხობს, ის ქართველი არღუთაშვილია. ამასაც დაამოწმებს საქარია.

ჰარონიანიც ტყვილა სწერს სომხურათ, მშობლურ კერას დაბრუნებოდა გრიშაშვილივით ის აჯობებდა ათასწილათ. „ჰაა“, ხომ იცით ეს ქართული ბგერაა, ანუ შორისდებული, „არონიანი“ კიდევ წამომდგარია ქართულ სიტყვა არონინეზიდან. თუ არ გჯერათ — კითხეთ საქარის.

ბრიჭუროვი გრიგორაშვილია, ნამდვილი ქართველი; ასე რომ არ ყოფილიყო გოგებაშვილი როგორ მიყიდდა თავის „რუსსკოე სლოვოს“. ვინც დაექვდება, საბუთისთვის მივიდეს საქარისთან.

მილოვი. თვალთმაქცობს, სომხობას იჩემებს, თვარა ნამდვილათ მელაშვილია თუშელი, ბებია მისს დოს ჰამა უყვარდა; ყველაფერ ამას ორჯელ ორივით დაამტკიცებს საქარია ქიქინაძე.

ადელხანოვი* ადელხანაშვილია. საბუთები საქარის აქვს.

რაფი. ცნობილი მწერალია, „ხენთის“ დამწერი. ჩვენ გვყავდა მწერალი რაფიელ ერისთავი. რაფი, რაფიელი, ექვი არაა აქ რალაც დიდი ნათესაობაა, რაც იმას ამტკიცებს, რომ რაფი ქართველია და ტყვილა უწოდებდა თავის თავს სომხებს. მეყოყმანეთ საქარია დაარწმუნებს.


შირვანზადე... აქ კი ვერას გახდა საქარის მეთოდი, რამდენი არ ვატრიალე ეს შეჩვენებული გვარი, მაგრამ ქართული ვერაფერი აღმოვაჩინე შიგ. მაგრამ ეს კი ნათლათ დავამტკიცე, რომ ეს მწერალი თუ ქართველი არაა შთამამაფლობით, არც სომეხია — გასკდენ გულზე — ის უფრო სპარსელია, მისი გვარი ამას პირდაპირ გუებუნება და მივირს რას ებლაუქებიან ეს უბედური სომხები!

თუმანოვი. თქვენ ხედავთ, თუ რა ადვილი დასამტკიცებელია ამ გვარის ქართველობა, მაგრამ მე ერთი რამ აზრი აღმეძრა ამ წუთში და ჩემს გამოკვლევასაც თავს ვანებებ. მართალია საქარის მეთოდმა სასწაული მოახდინა და ბევრი კაცი გა-

*) არც ადელხანოვისა და არც მილოვის მითვისება ამ ქამათ არაა ხელსაყრელი — იცით რისთვისაც. მაგრამ რა იზამთ, ქეშმარიტებისათვის თავი უნდა გავიმეტოთ, მიუშეტეს, როცა სომხებს ეხება საქმე.

მოვლივით სომეხებს ხელიდან, მაგრამ ვაი თუ სომეხებსაც აღმოაჩნდათ თავისი ზაქარია და მტკიცება დაგვიწყონ—ესა და ეს ქართველი სომეხია, ტყვილა ნუ ითვისებთ ქართველებიო, მაშინ რა უნდა ვქნათ? ამიტომ უმჯობესია ტაქტიკურის მოსაზრებით ჯერჯერობით მაინც ჩვენი მეცნიერულ—ზაქარიული გამოკლევა შევაჩეროთ.

ვ. მალაქიაშვილი.



მ მ რ ა ლ ა

მეც მსურს კალამი ავიღო,
დავსწერო ერთი შარადა,
იმაზე, რაც დღეს გულს მიღრღნის
და ამკიდია შარადა;
რასაც დავეძებ დღე და ღამ,
დავდივარ კარისკარადა,
მაგრამ არ იქნა, ვერ ვპოვე,
ქირის ოფლი მდის ღვარადა!

პირველათ უნდა მოვძებნოთ
ეზო და ბაღჩა გლეხისა
და ჩამოვთვალოთ ნარგავი
მისი ხელის და ფეხისა.
გამოვარჩიოთ მათ შორის
საშემოდგომო ხეხილი,
(ვგონებ ის ჯერაც არაა,
როგორც იტყვიან, შეთვლილი),
ტანათ მსხვილია, საქმელათ
ცოტა მლაშე და მაგარი,
მაგრამ თუ ჩავამურაბეთ,

ტკბილია, როგორც ზაქარი.
პირველი ასო დავტოვოთ,
სხვა გავატანოთ ზენასა,
(რაც არ გვჭირია, იმით რათ
უნდა ვილლიდეთ ენასა?)

შემდეგ მოვნახოთ მეორეც,
მისამატებლათ გვჭირია,
თუ მოვინდომებთ, ვიპოვით,
სპარსელთა შორის ხშირია.
მით იღებავენ წვერ ულვაშს,
იფერადებენ ფრჩხილებსა,
ხშირათ შეხედვებით ქუჩაზე
ამგვართა შეფერილებსა.

პირველს მივაბათ მთლიანად,
უკვე მზადაა შარადა,
და როცა ახსნით, თქვენც ჩემებრ
სევდა გეწვევათ ჯარადა.
ვისაც არა აქვს—დაეძებს,
ვისაც კი—ტყავსა აძრობენ,
და რომ გადასქრან ესკითხვა,
ყველგან ბუობენ და აზრობენ.
მაგრამ არ იქნა, ჯერ კიდევ
ვერ მოუნახეს წამალი,
და ღმერთმა იცის, თუ როდის
იყივლებს ჩვენთვის მამალი!

ჩახრუხბაძე.



პირველი „ნაფაზი“

დღის დღე საზღვრათ ჩაითვლება სიმონას სი-
 ცოცხლეში. წარსულში იგი ბავშვი იყო, ამ დღის
 შემდეგ კი იგი თუმცა ისევ მეოთხე კლასის გიმნა-
 ზიელი იქნება, მაგრამ ვაჟაკად ჩაითვლება მეგო-
 ბართა თვალში... დღეს მან საუზმისთვის სახლიდან
 წამოღებულ ფულით იყიდა თამბაქო და წუმწუმა.
 ეს დიდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. ამის შემდეგ მას
 ეგრე აბუჩათ აღარავინ აიგდებს ამხანაგთა შორის.
 ვინ შეჰბედავს რამეს იგი ვაჟაკია, იგი თამბაქოს
 ეწევა...

პირველი გაკვეთილის შემდეგ ვხედავთ მას სას-
 წაფლებლის „კლუბის“ წინა ოთახში... აი, იგი
 მიუახლოვდა უფროს მოწაფეთა ჯგუფს, რომელნიც
 სერიოზული სახის გამომეტყველებით სწუწნიან
 თამბაქოს და მის ბოლში სცურავენ. სიმონაც მათ
 შუა ჩადგა. თუმცა ზოგიერთ მათგანს სიმონა წე-
 ლამდის ძლივს სწვდებოდა. დღეს იგი მაინც არ უფ-
 რთხის ამ გარემოებას და იღებს ჯიბიდან თამბა-
 ქოს კოლოფს... აი, მოუკიდა ცეცხლი ჰაბაროზს...
 მოსწია... სიმონას გაუგონია ამხანაგთაგან, რომ
 ვინც ნამდვილი თამბაქოს მწვეველია, მან „ნაფაზი
 უნდა დაარტყას“, და იგიც აკეთებს „ნაფაზს“ მხო-
 ლოდ ის კი არ იცის სიმონამ, თუ რა შედეგები
 მოჰყვება „ნაფაზის დარტყმას“!..


უცებ მის თვალწინ ოთახი დატრიალდა.. მო-
 წაფეები სადღაც შორს გამოჩნდნენ. მათი ხმა კი
 ახლო ისმის... სიმონას ცივი ოფლი დაასხა, გუ-
 ლი აერია... მაგრამ, მაშ რაღა ვაჟაკი იქნება სი-
 მონა, თუ ამისთანა უბრალო გარემოებას შეუშინ-
 დება. იგი კვლავ ეწაფება თამბაქოს და გაშმაგებუ-
 ლი აბოლეს...

გაკვეთილების შემდეგ ჩვენი სიმონა ბნელ
 ოთახში წააბრძანეს, რადგან მან დაარღვია გიმნა-
 ზიის წესები თვისი სიცელქით: გულითად მეგობარს
 წემსი უჩხვლიტა გერმანულ ენის გაკვეთილზე, რი-
 თაც ააღლევა ბებერი მასწავლებელი ვილჰელმ ვილჰ-
 ემისძე.

ზოგიერთ ამხანაგთა თვალში სიმონა უდანაშაულოთ
 არის დასჯილი და ამიტომ ისინი წიშნათ პატივის-

ცემისა სიმონასადმი და პროტესტისა სასწავლებლის
 მთავრობისადმი საერთო ფინანსიური ძალით იძენენ
 ერთ კოლოფ თუთუნს და ბნელი საკანის გატეხილ
 ფანჯრიდან უგდებენ სიმონას. იციან რომ სიმონა,
 თუმცა გამბედავი და გულცივი ვაჟაკია, მაგრამ
 უთამბაქოთ ვერ გასძლებს, ვერა და ვერა.

გზავლი.



„ქაჩალატი“

(ქველათ ძუთაისი)

როცა იმერელს ვინმე ატყუებს,
 ის მაშინ გულში იცინის ალბათ,
 რამეთუ იცის ასეთ საქმეში
 გამოცდილია ყველაზე კარგათ.

ჩვენსა ქვეყანას ორი დაბა აქვს:
 ხონი და გორი მათ ეწოდება
 და თუ ხონელმა გორელს აჯობოს,
 გთხოვთ ეგ ნურავის ეტყობება.

ჩვენ კარგათ ვიცით, იმერელ კაცსა
 სრიკემისტრობა მეტად სჩვევია
 და ამ საქმეში აკვნის უბიდან
 გამოცდილებით ის ნაჩვევია.

მაშ რისთვის გიკვირთ, თუ
 ქუთაისში
 ყაჩაღობაცა იმერულია,
 (ეკვი არ შემდის, ვფიცავ
 ჯოჯოხეთს,
 ის შედარებით კულტურულია!)

და ამ საქმეში მას არ წააგავს
არც სამეგრელო, არცა გურია.

აქ ყაჩაღობამ, დიდი ხანია,
პირველყოფილი დაკარგა სახე
და თუ არ გჯერა ჩემი ნათქვამი,
ვისაც გნებავდეს, მიბძანდი, ნახე.

ვის ეკადრება თავდასხმა ძველი,
როცა ხმლებითა კუწადენ ხალხსა
და მხოლოდ შემდეგ თავისუფლები
ანგარიშობდენ ფულისა დახლსა.

ახლა ასეთ შიშს აცდენილი ხართ,
სიცოცხლე თქვენი დაზღვეულია
და ჩვეულება იგი მხეცური
ამ რაინდთაგან დარღვეულია.

აი, მაგალითს სად გაექცევით,
გუშინ არ იყო იძახდა ყველა,
რომ გოკიელი, ჩვენი ექიმი,
მიიპატიყეს ეტლითა ნელა?

ან შარშანდელი არ გაგონდებათ,
როცა ოცხელი გაასეირნეს
და ამ „ხარჯისთვის“ მალაზიიდან
მას ათასები გააწერინეს?

ან იქნებ ყური მოჰკარით ოდეს
ჯარში გასაწვევ ხალხს, რომ
სძარცვავენ
და ისეც ტანჯულ ახალგაზღობას
გოლგოთის ჯვარზე აკრავ აცვამენ?

მარა ეგ მოსდით მათ უნებლიეთ,
ყაჩაღობის ხომ სხვა არის წესი
და არ იფიქროთ ასეთ საქმეში
განზრახვა იყვეს ცუდათ ნათესი.

მე კი მგონია ქუთათურ ხალხსა
საფრთხე მოელის საშიში ამით,
კიდევ გაქირდეს აქ თავის დახსნა
თვით უდიდესი იმერულ ქრთამით.

ყაჩაღთა რიცხვი მცირე არ არის,
ყველგან შეხვდებით თეთრათ დარაჯულს,

(დღემდე მიკვირდა, როცა ვხედავდი
ქალებს ამრიგათ სუფთათ დაკაზმულს),

მარა დღეს მესმის, თუ ყაჩაღობას
როგორ ახდენენ ტურფა ასულნი
და ეტლებითა, საღამოობით,
ქალაქ გარეთა ჩუმათ გასულნი

სძარცვავენ ხალხსა ეტლით განატაცს,
ზოგი ხმლით არის, ჩინ-ორდენებით,
აქ ძალადობა არ შეიძლება,
(ყველა ეს ხდება საკუთარ ნებით).

იქ ჩრდილოეთით ფერმას გასცილდა
სასაქმო ესე სადიდებელი,
ხოლო სამხრეთით საღორიამდე
ფული რიგდება სამდიდრებელი.

ვიცი, იკითხავთ: შიდა ქალაქში
ყაჩაღთა რიცხვი რაოდენია?
(ექვი მეპარვის, ყველა ვეპარი
ასეთი საქმის მუნ ჩამდენია).


შაქარი, პური, ფქვილი და ცომი,
ფართალი, ტყავი და სხვა ნივთები,
როგორ გაძვირდა, ჩემო მკიახველო,
მე აღარ გეტყვი, თვითვე მიხვდები.

და თუ ამა ხალხს პატიოსნათ ვთვლით
და არ ვუწოდებთ „ყაჩაღის“ სახელს,
თუ გლახი ობლათ მიტოვებული
თავის გასაქირს ველარა ამხელს,

ეს მხოლოდ იმის ნიშანი არის,
რომ იმერეთის დედა ქალაქში,
(სად თვით ანგელოზს გზას აუბნევენ
და ამოსვრიან იმერულ ლაფში).

ყველა ეს ხდება „კულტურული“ გზით,
მას არ ემჩნევა ძველი ადათი,
ხოლო ვისაც სურს სინათლის ხილვა,
დანახვა მართლა საქმის მაგათი,

მაშინ მე გირჩევთ კრებას დაესწროთ,
სადაც ილია მანუჩარიჩი,
საქვეყნო საქმეს ხელსა მოჰკიდებს,
თუმცაღა მისი არ ესმის იწი.



ოქამდის ვ ა ჯ ა რ ი ომის დროს.

მაშ ნულარ მიწყნთ, თუ ქუთაისში მე ყაჩაღეთი აღმოვაჩინე და ვინაც ღღემდე მას ვერ ამჩნევდა მას გარკვევითა ყველა ვაჩვენე.


ასეთ ქვეყანას ექიმის წასვლა გასაკვირია, მკითხველო, განა? და ყოველ მცხოვრებს საშიშროება ვით მოჩვენება არ დასდევს თანა?

მარა იმედათ მხოლოდ ეს არის, რომ „კულტურულათ“ ყველა ეს ხდება და ძველებური მხეცური ჟინი ყაჩაღობაში ჯერეთ არ ჩნდება.

ხუნაგი.

სარქისას გასაჭირი

ღღევანდელ ცხოვრებას რომ უკვირდები ვგიჟდები უფლის სახის მადლმა! პირდაპირ სიზმარში ვარ რალა! სიძვირე მინახავს, მაგრამ ამისთანა?! ხუთი და ათი მანეთი აღარა ფულობს— გინდა გქონია, გინდა არა! ამ ვაჭრებმა ხომ აღვირი აიწყვიტეს და რასაც უნდა შერებიან. ეტყვი რამეს და ყვირიან: „რა ვქნა, ძმაო, დარდანელი დაკეტილია და საქონელი აღარ მოდისო“. ბიჭო, ე ღვინოც დარდანელიდან გამოდის, რომ პასკის კაპლებივით სანატრელი გახდა! ქრისტეს გეფიცებით, ორი წელიწადია ჩემი კუჭი ღვინოს არ დაუსვლელია! არ ვიცო, ღმერთმანი, რა ვქნა! კაცო, დედაკაცი გაქცევას აპირებს, იძახის: „აღარ გიყვარვარ, აღარ მეარშიყე-



კ ლ ე ხ ი

ბიო“. ვა, ყვარებით როგორ არ მიყვარს, მაგრამ განა მე საარშიყო გუნებაზე ვარ!! ღვინო უნდა იყოს, ის დალოცვილი, რომ ძარღვებმა ხტუნვა დაიწყონ, ტვინმა თავში მზულკის თამაში გამართოს და მაშინ არშიყოების გუნებაზედაც მოვალ და სიმღერისაც. იმდღეს ვიფიქრე, ამ უღვინობით კუჭი სავესემ არ გამიხმეს, ობი არ მამეკიდოს-მეთქი

განა ამ დროსაც მოვესწარით, რომ ჩვენში ღვინო კაპლებით ჩასაწვეთებელი გახდა! კაცო, მარტო ღვინო რომ იყოს ჯანდაბას, მაგრამ სხვა საქონელს არ იტყვი! ნესვი და საზამთრო რომ წონით გასასყიდი გახდა, იმისი მაღლი შეგეწიოთ. რა კაცი ხარ, რომ საკუთარი სასტაიანიით ერთ საზამთროს ვერ იყიდი! იმ დღეს წაველ და ორი გირვანქა ძლივს ვიყიდე. ისტინაირათ ფასობდა, რომ კინალამ გავგიყიდი კაცი! ახლა წალას არ იტყვიოთ, კაცო, ჩუსტებიც კი წონით იყიდება, ხალხნო, გაიგეთ ეე!!! ხარაზის დუქანი და სასწორი სად გინახავთ, ხალხნო, ვის გაუგონია?! არა, ბაკალიონჩიკია, მეთევზეა, ყასაბია, ბრილენჩიკია, თუ ბაყალი!!! სწორეთი მგორეთი მო-

სვლაა უფლის სახის მადლმა! ეხლა შენ უყურე ტყვია რა ხოდში წავა! ვიცი ეხლა ეს ჩვენი ხარაზები საცა ტყვიის ნაქერსა ჰნახავენ აბეზატელნათ გააბტყელებენ და წალას ძირში დაუდებენ, რომ წონაში მეტი მოვიდესო. მერე ამ ვაინობის დროს ტყვიას სულ გამოლევენ ეს პირძაღლები. არ მინდა ძმაო, ისევ ჩუსტებში მეტი მივცე ის მიორჩენია, ოღონდ ტყვია არ გამოილიოს და თათრებმა ვიზიტი არ გაგვიკეთონ. ეხ, მადლობა ღმერთო შენთვის ყველაფერს მოესწრობა კაცი, ვა, ვა, ვა! მე კიდევ სიზმარში ვარ ქრისტეს მადლმა! ყველა, ყველა, მაგრამ ჩუსტები და წონა?! ერთი სიტყვით ქვეყანაზე აღარაფერი არ დარჩა, რომ წონით არ იყიდებოდეს! ვაი ეხლანდელი ხალასტოი ბიჭების ბრალი. თორემ მე რა მიჭირს. კაცო, ეხლა რომ კაცმა ცოლი შაირთო, იცი რა დაგიჯდება!! ზოგი ერთი ბარიშნა სულ პასლენდი ხუთი-ექვსი ფუთი გამოვა წონაში. ახლა იანგარიშე: თუ დოხლი კაბეჩის ხორცი გირვანქა ექვსი და შვიდი შაუბი ღირს, ნეუყელი მაღადი ბარიშნის ხორცი სულ პასლენდი ერთი თუმანი აღარ ეღირება! ნუ ვიანგარიშოთ, ექვსი ფუთი, ესე იგი ორას ორმოცი გირვანქა. თუ გინდა გამოვიდეთ წონაში: ტურნული, წინ გრუდის დაბავკა, ფალშივი პრიოსკა, ვსტავნოი კბილები, იქ ტანის ასამალღებლათ იქნება რამე ჩაფენილი ტუფლებში, ერთი სიტყვით ყველაფერი ესენი თუ გინდა ორმოცი გირვანქა გავიდეთ, ორასი გირვანქა მიინც ხალასი რჩება. ეხლანდელ დროებაში ორასი თუმანი ვისა აქვს, რომ ქალში მისცეს და ცოლათ მაიყვანოს! მადლობა უფალს, რომ ცოლიანი ვარ, თორემ ჩემ დედაც კი როტშილდის ქონებაც ვერ იყიდდა! რომ დედა დედამიწა ინძრევა და კოჭებამდის მიწაში იფაროს ის შაჩვენებული ისა. მერე ეხლა ის კოლო-კოლო კაბა რომ შაუკერე ისე გაგანიერდა, ისე გადიდდა რომ გეგონება ინგლინცკი დრენდოუტაო! რომ სასწორზე დადო ასაწონ გირებს ვერ იშოვოთორემ ამ დელი ფული ვის ექნება!!!...

მე რა მიჭირს, მე თავნზე ვარ, ვაი ხალასტოის ბრალი აწონილ ქალს რომ შაირთავს, მაშინ დაუდგება თვალნი!

შუტკა შტოლი, ჩემი ცოლი,
 დღეს რომ იყოს ასაწონი,
 თავ-ფეხიან დავეგირავდე,
 არ მიშველის მაინც მგონი!

მადლობა ღმერთს, სიძვირეში
 ის რომ შემრჩა მე შერთული,
 თორემ უცოლო რომ ვიყო
 გასქდებოდა შიშით გული!

მართალია, ხშირათ თავში
 ხელ უკუღმა ჩამათხლაპებს,
 მაგრამ როცა ხალისზეა
 სიტკბოების კაპლს მაყლაპებს.

თვალს ჩამიკრავს ჩაიცილებს
 და გამიქნევს კუდს ცბიერათ,
 მამენტალნათ შაიცვლება,
 გადიქცევა მთლათ სიმღერათ.

თითონ მღერის ბაიათებს,
 მაკვრევენებს მე კი თარსა,

კარგი არის ის წყეული,
 თუ უცებ არ დაითარსა!


მიყვარს რა ვქნა ის კუდრუტა
 და იმიტომ გადავყევი,
 რაც კი მითხრა ბეზ ატკახათ
 ყველაფერი უყიდევი.

უყიდევი და სულ კრუფომ
 დვინოი ფასი იღეს,
 ჩემი სასტაიანიე
 სულ ამ ვაქრებმა წაიდეს.

აღარ ვიცი მიწას ჩაეძვრე,
 თუ მივიდგა ზეცას კიბე,
 ბურჯუტებმა, მყვლეფელებმა,
 გამიფხიკეს საესემ ჯიბე!

ოხ, ვაინავ, შე ურჯულოვ,
 ვაქრები რომ დაასუქე,
 ნეუქელი ორი გროში
 მე, სარქისას, ვერ მაჩუქე?!

ზოგია.



ულობენ თურმე წათელ და ლურჯ ბილეთებთან?

ბაისო და ბარბაღე

(ბურული სცენა).

ბარბაღე. დათიკო! დათიკო, დათიკოოო!..

დათიკო. მობრძანდი ბარბაღე, მობრძანდი.

ბარბაღე. ნენა, მოი, აგერ მოი! ბაისო სახლ-
შია?

დათიკო. კი, ბატონო. ნენაი, აგერა ძროხას
წველის.

ბარბაღე. შენ დაგენაცვლოს ჩემი თავი, ერთი
უთხარი, მოდგეს აგერ ალაგეზე, პაწაი ქე.მეჩქარება...

დათიკო. ნენა, მოი, ოჯო აგერ, ბარბაღე
გხმობილობს ალაგესან.

ბაისო. ჩიმუუძეხვი ბიკო სახლში.

დათიკო. არ შობა ოჯო. აქნაი მევიდეს, მეჩ-
ქარებაო.

ბაისო. მობრძანდი ბარბაღე, ბეჩა, რაფა შო-
რიდან ვიძახი, ინცხა შორეული მეგონე.

ბაისო. რა იყო ბეჩა, თქვი ბარბაღამ რომ მომ-
ზაფრე ქალი.

ბარბაღე. რა იყო და

ბაისო. რაფა ჩეიფუნჩხა ჩემი
ბეჩა ქე არ თხო- პლანები, ვიფიქრე წროულს მოგვხელა ღმერთმა,

პაწაი გვალვები კი იყო, მარა, მერე ქე დადგა კაი დარები, ყანებიც ქე გამოკეთდა, ადესასაც კარგათ აბია, თუთუნს კაი ფასი აქ მეთქი და სულ წყლით დავარგვიე ერთი ქცევა, ამინდი რომ არ იყო, პირ-ზე ტყავი ევიხადე და ერთი კაი სამი ფუთი აბრე-შუმის პარკი ვაკეთე, ჩევიტანე ჩოხატაურის კომ-პერატიაში და ყოველ დღე ველი ახლა ფულს,

თი კაი მოსავალი იქნება მეთქი, აგერ ვფიქრობდი, ჩემი პანტელიმონე წროულს კლასს გაათავებს და თუ ღმერთი შემეწია ვიში ნაჩალნი კლასში მივცემ მეთ-ქი,

ბარბალე. ბეჩა, შენ რა გიკირს, მაზლები კი გყავს მაინც, პაწას წაგხედავენ, მე ვიკითხო თვარა. ჩემს ოჯახში ცეხლი რომ შემოგეკიდოს ტანზე წყლის მიმსხმელი არავინ მყავს, გაფსებული მაქ ნა-ცარი უწლოვანი ბასარსლები ბაღნებით,

ბარბალე. ბეჩა, აბა, რა გევიგე, თურმე ახლა კიდომ ერთი სახელწიფო გამოსულა, რაცხა რომე-ნიე ყოფილა, ხვალ კიდომ ხხვაი გამოვა

ვიფიქრე, წროულს თუ რამე არ გამომეკრა, ამოვალ სილარბიდან ისე-

ბაისო. ვის ეხმარება თუ იცი იგი რუმინია თუ რუმენის სახელწიფო?

ბარბაღე. რაეცი, ჩემა ქმარმა გირგოლამ მითხრა წუხელის, რუმინე თურმე ჩვენ გვეხმარება, და ასრიელებს ებძვისო...

ბაისო. ბეჩა, მაი კაია, ეგება დაადგეს საშველი ამ ვაინს. ბეჩა, ინლოური რომ გყავდა მოფულურებული, მოყვინტული, რაფერ არის, მორჩა?

ბარბაღე. ბეჩა, არ მიკვირს შენი საქმე, ხან დიხანე იმფერს იტყვი, რომ ქე გამაკვირებ,

ინლო-

ურის ჯავრი მაქ.

ბაისო. რაეა გეკადრება მაი, უმადური გამყოფა ღმერთმა, რაეა წაგივიდა თლათ ქალობა, ნუ გეშინია,

ინლოურსაც უნდა მივხედოთ, კვატასაც, ბალნებსაც, ყანებსაც და ყოლიფერს, ველარ ხედავ, მარტო ქალების ანაბარა რომ რჩება ქვეყანა? რაცხა პაწა ფულს ქე მოგვცემენ ზაბასების ცოლებს,

წაი, ახლა და სახლში დახეთი ქმარს, ასე ჩასკურმუხეთებული ნუ კი დახეთები, თვარა დეიზაფრება აი, ნამუშიერი კაცი. შვიდობით ჩემო ბაისო, ასე ქენი, რომ გეუბნები, ახლა ვინდა ქალობა,

დუკაიფს ობალი



საუბნო გასილაგა

(ფოთიდან)

ოჰ, გაგაცილეთ ნატვრა ლოდინში (ამოვისუნთქე და გავიხარე) ძლივს მოგიშორეთ, ძლივს დაგაცილეთ, შენგან ტანჯული ეს არემარე, დიდი ხანია სულს გვიხუთავდი ბნელ-ცულლუტობით არ გავგახარე, სადაც მიდიხარ, თუ იქ დაგინდონ, წყეულიმც იყოს თვით იგი მხარე, წყეული იყოს შენი მგზავრობაც, სიმწარით გველოს წყალ-მეწყერშუა, ლელვა გაცილიდეს ფეხ ქვეშ ნიადაგს, ზევიდან მებმაც გასწავლოს ქკუა, რომ ამით მიხვთე შენს დანაშაულს სხვის სიმწარეში შენს სიხარულსა, კანონის სახით ავაზაკობას შენგან ჩადენილს დემდის ფარულსა. დღეს ხომ გაგიტყდა ცოდვების კოკა ხომ დაგედვარა „იღუმალობა“ რაც არ გერგება არ შეგერგება „უფალს არესმის შენი გალობა“, გათავისუფლდა შენი უბანი, შენს ჯანბაზობას აღარ მონებენ შენი შავ-ბნელი მოღვაწეობით ზიზლით და კრულვით მოგიგონებენ.

ბუტუნა.



ფლაკარი

(ონში გაგონილი)

იყო და არა იყო... უკეთესი ღმერთზე — კაცი დაბადებულიყო ქოთნის ნატვებზე.

სამი წლის არ იქნებოდა,
 გაიზარდა დიდი,
 პურის ფულიც არა ჰქონდა,
 (შენ თუ უყიდობი.)
 გადიოდა ასე წლები,
 ბავშვიც იზრდებოდა,
 ქვეშსაგების არა მქონი—
 ჩალაზე წვებოდა.
 ბოლოს იქამდე მივიდა,
 რომ დასწყევლა ბედი,
 მუშტის ოდენ კურცხლებს ყრიდა:
 დაჰკარგა იმედი.
 ერთ დღეს თურმე გზის პირს იჯდა,
 გულზე ჰქონდა ჯავრი,
 და უცრად, დაფიქრებულს
 თავს წაადგა მგზავრი.
 — „რა გატირებს, მითხარ ძმაო,
 რა გაგიკირდაო,
 მე ვარ ღმერთი სიმდიდრისა
 მითხარ რა გინდაო?“
 — ოჰ, წმინდათა წმინდა სულო,
 მადლი მომფინეო,
 სხვას არა რას გეხვეწები
 ფული შემძინეო.

ორი წელიც არ გასულა,
 რომ ამ ვაჭბატონსა
 ჩინებულათ შეატყობდით
 მუცელზე სიპ ქონსა.
 ფულებიც ბევრი ეშოვა
 დღე-დღე შემატებდა,
 მისთვის გროში რომ გეთხოვა
 არ გაიმეტებდა.
 ბედმა უფრო გაუღიმა,
 გამოცხადდა ომი
 და უფრო მეტი იშოვა
 კუკის გასაძლომი.
 დუქანში მამა დასტოვა
 თავსა გრძნობდა მეტათ
 წაეიდა, რომ ძმა ეშოვა
 ხალხის გასაღლეტათ.
 ცხრა მთას იქეთ გადავიდა
 ვერავინ ვერ ნახა,
 ბოლოს ერთ ქალაქს მივიდა
 ბედი გამონახა:

ერთი ვილაც ჩინოვნიკი
 ქუჩებსა ხვეტავდა,
 ალბათ მიტომ, რომ მას ვინმე
 უფროსი ხედავდა.
 თურმე ის ამ საქციელით
 ჩინებს თხოულობდა
 კაცს კბილებით დასწიწკნიდა,
 უფროსს გულს უღობობდა
 ლამ-ლამ მასთან დადიოდა,
 ჩექმებს უწმენდავდა,
 მაგრამ წლები გადიოდა
 ვერასფერს ხედავდა.
 ერთ დღეს ბედმა გაუცინა
 გახდა ბედნიერი
 მას რაქაში მისცეს ბინა
 ერთობ მშვენიერი.
 სწორეთ იმ დროს, როცა ამას
 ბედი უხაროდა
 ჩენი გმირიც მორჩა ქამას
 ძმისკენ გამოგორდა.
 ერთმანეთი რომ გაიცნეს
 ძლიერ მოეწონათ,
 უღვაშებში ჩაიცინეს:
 „გაეხდებითო ქონათ“.
 და მართლაც, ამ ორმა გმირმა
 ძალა იგდეს ხელში,
 ონში თურმე გახსნეს ფირმა
 გაიმართენ წელში.
 სიმინდი თუ მოვიდოდა
 იმათ ხელში იყო,
 ხალხი ცხვარის ფარად უჩნდათ,
 თუნდაც გამწყდარიყო.
 ერთსა ფული ბევრი ჰქონდა
 მეორეს კი ძალა
 ჯოჯოხეთში ივარგებდა
 ასეთი ამაღა.

რიკა.



დ ე კ ე შ ა

ბაღახანა. ბევრი კარგი რამ მოიტანა აქ ამ ომმა და ბევრსაც, ალბათ, მოიტანს. ჯერ-ჯერობით აი თუგინდ ავიღოთ თავს გაკრეპა. წინეთ შეხვიდლოდი სადალაქოში. დაგსომდენ სავარძელში და გათვლევინებდენ ბუზებს. ესაო და საკრეპ მაშინას დეზინფექცია უნდაო. ჯერ რაღაც სპირტის ცეცხლზე მოაფლებდენ მაშინას. სავარცხელს კარბოლკას უშხაპუნებდენ, სწმენდდენ. ახლა კი მადლობა ღმერთს გეიჩისტა საქმე, რას მიქვია ცეცხლი, კარბოლკა, წმენდა. ისიც კარგი თუ წინ ასაფარებელი ფეშტემალი გაფერთხეს. ერთის სიტყვით ორი მოსმით თავდება საქმე. უნეტ მადლობელი ხარ, რომ ბევრი ლოდინი არ დაგქირდა და არც პარიკმახერს ეტყობა უკმაყოფილება. ამობდენ სანიტარულის მხრით არის მავნე თუ დეზინფექცია არ გაუკეთდაო. ახლა ხომ დამტკიცდა, რომ სულ ტყუილი ყოფილა.

ღია.



სადგური კოპიტნარი.

სადგურ კოპიტნარს ბინადრობს უფროსი ვინმე, გურული; უშნო აშიყი, უმსგავსო და ქკუა შემობურიული. კაბის და შლაპის დანახვა; ან ქორვა წანოხურული, ნერწყვის უშრობს, როგორც სიცხეში მოძალეებული წყურფული. რომ დანახავს ურემზე მდედრია წამოსკუბული, მის წინ განჩდება სისწრაფით განთქმული იგი გურული. აქყობინდება ბარტყივით, აბაჯბაჯდება „კვატივით“, კრუტუნი აუვარდება მარტის აშიყი ხვადივით.

ჯერ გამოკითხავს სახელს, გვარს, უშნო აშიყთა რჯულზედა და ისე ურცხვით უცქერის, თითქოს ყიდულობს ფულზედა. შემდეგ ნივთებსაც გაშინჯავს, თუ მეტი არის ფუთზედა, თან სიტყვას წამოუქროლებს ყველ-კვერცხის ხაქაპურზედა. ოჯახშიც მოიპატიეებს, არ არჩევს სწორს და მრუდესა და თუ უმტყუნა განგებამ, არ გაწითლდება შუბლზედა. ვურჩევ მგზავრ მხევალ ბატონებს, ეშმაკს ემთხვიონ კულზედა, იქნებ მათრახი იხმაროს იმ ვაჟბატონის ზურგზედა.

მახინკაღე.



წერილი რედაქციას

ბ-ნო რედაქტორო! „ეშაპის მათრახის“ 31^ლ და 33 ნომრებში მოთავსებულია წერილები ჩემისა და ჩემის ოჯახობის შესახებ: „ჭიო შაქრის მომგონო“ და „ოთხი წურბელა“, ეს წერილები ეკუთვნის ჩემთავის უცნობ აუტორს, მსევდანიმით „გოგის“. ბატონი „გოგია“ და უმსახურებლათ მლანძღავს მე ოჯახობით, რაც მოუთმენელია ვეგლას ჰატიოსანი კაცისთვის, ამ ვაჟბატონებს მოუცლია ჩემზე და ჩემ ოჯახობაზე და ჩვენი ღანძღვა და თრევა სეღობათ გაუხდია, რისთვისაც ის არ კრიდება ჩვენს ყოველ შეურაცხოვას, ვინაიდგან ამოდენა ღანძღვა გინება „გოგისაგან აუტანელათ მიმანია, გთხოვთ შემატუობინოთ თქვენის ყურნალის შემწეობით ვინაობა მოხსენებული ზემოთ სტატიების ავტორის ბ-ნ „გოგისა“, რომ მე შექნეს საშვადება მას კანონის საშეგლით მასხუხი მოვისთხოვო.

პატივის ცემით სანდრო შავერდოვი.